ცნობის ფურცელი

№ 2102 ხუთშაბათი, 20 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2102

გაზეთის ფასი: წლიწადში—... მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში გოლოვინის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-102 №-რი.

მღვდელი ვასილ ს. დუმბაძე, ყარამან გრიგოლისძე და ელენე ანტონის ასული ცეცხლაძენი ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ, რომ პირველის ძვირფასის მეუღლისა, ხოლო მეორეთა—საყვარელის შვილის

ნინო ყარამანის ასულის ცეცხლაძე-დუმბაძის

ორმოცის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 22 მარტს, დღითი შაბათს. წირვა დაიწყება 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 11½ საათ. ექადიის წმიდის გიორგის ეკლესიაში, ოზურგეთს. (ნ. 1—1)

ქიათურის საურთიერთო
ბანკი

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 26 მარტს დილით 10 საათზე, ქიათურის სახალხო თეატრის დარბაზში დანიშნულია **საზოგადო ჩვეულებრივი კრება წევრთა.**

განსახილველი საგნები: 1) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა; 3) 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 4) შეცვლა წესდების ზოგიერთ §§-თა; 5) არჩევანი საბჭოს ოთხი წევრისა, ნაცვლად თ.თ. ბ. წერეთლისა, დ. ლიონიძისა, ბ. ბ. ჯ. იაშვილისა, ნ. წერეთლისა და გამგეობის ერთის წევრისა თ. კ. პ. თუმანიშვილისა და სარევიზიო კომისიის წევრთა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ. (ნ. 3—3)

წარმოდგენა 43—5. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 მარტს, 1903 წ.

ჰენრიხ იბსენის პატივსაცემლად

ქართულ-დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით

პირველად ქართულ სცენაზე

I

ნორა

დრამა 3 მოქ. ჰენრიხ იბსენისა, თარგ. ავ. ცაგარლისა

II

დედის ერთა

კომედია 1 მოქმედებად.

III

აპოთეოზი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ელ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ.ბ. გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი. და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ქეთევან წამებული“, „მედეა“. რეჟისორი **ვ. გუნია.**

სამხედრო საბჭოს დარბაზში (სადაც სამხედრო სასამართლოა) ხუთშაბათს, 20 მარტს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია

რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების

კრება

კრებაზე ნამდვილი წევრი საზოგადოებისა კ. თ. განი წაიკითხავს თავის მოგზაურობის შესახებ დალისტნის უმაღლეს ადგილებში. გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებას უფასოდ. (უ. 3—2)

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში

იყიდება

ვაშლისა, მსხლისა, ატმისა და სხვა ხილის ნერგები ჰაჯი-ისმაილ-ოღლის ბაღიდან. ნერგები ორისა და სამი წლისა. (2—2)

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისთან, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21) და ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—4)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

ზუბალაშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

გ. ი. მიქინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. ჟულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ნ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდე (სიფილისური) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ.-ოთხშ. და შაბათი 11½—12½.

ლ. ა. ვეფხვაძიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. გ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. გ. ამზარდანოვი—ხირურგიისა, კანისა და საშარდისა 1—2 საათამდე.

მრ. გ. ხოშტარია—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ნ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყურყუმისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ვ. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ს ი ა

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 10—16 მარტის განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
52	სოლომონ წერეთელი	6	—
53	ივანე ნიჟარაძე	6	—
54	ვლადიმერ წერეთელი	6	—
55	პეტრე აბაშიძე	6	—
56	ჯიბრაილ იაშვილი	6	—
57	ფილიპე დარჩია	6	—
58	ილია მხეიძე	6	—
59	ალექსი გალუსტოვი	6	—
60	ნესტორ ბეჟანეიშვილი	6	—
61	ვლადიმერ ჩაჩავა	6	—
		60	
	სულ მდგ. წლ. განმავლობაში.	367	—

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. ერთი რუსული გაზეთი სწერს: „სულ უბრალო აღნუსხვა იმ უტყუარ ამბებისა, რომელიც სტამბოლიდან და მაკედონიიდან მოგვდის, ყველასათვის ცხადად ჰყოფს, რომ ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიანი მდგომარეობა დიდი ხანია ასეთ საშიშ მდგომარეობაში არა ყოფილა. სერბიისა და ჩერნოგორიის საზღვრებზე ოსმალეთის მთავრობამ ძლიერი ჯარები დააყენა; მიტროვიცა, კოსოვის ვილაიეტი და ნოვობაზარის სანჯაკი ვრცელ სამხედრო ბანაკებად არის გადაქცეული; გზები სამივე ვილაიეტში ჯარების მხედველობის ქვეშ არის; მცირე აზიიდან ახალ-ახალი ჯარები გადმოჰყავთ ევროპაში; გერმანიიდან გამოიწვიეს ყველა ოსმალელი აფიცრები, რომელნიც სწავლის განსაგრძობად იყვნენ გაგზავნილი. და ნუ თუ მაკედონიის აჯანყების დამშვიდებისათვის ამდენი სამხედრო მომზადებაა საჭირო? რა გასაკვირველი უნდა იყოს, რომ ბოლგარიის სამთავროში ხალხის ღელვა მატულობდეს და ეს მღელვარე მდგომარეობა სერბიასა და ჩერნოგორიაშიაც გადადიოდეს, როგორც ამას ერთხმად ჰმოწმობენ სარწმუნო კორესპონდენტები. თუ ზემოდ ნათქვამს იმასაც მიუმატებთ, რომ ალბანელებიც დიდ ამბავში არიან, არ შეიძლება არ დავრწმუნდეთ, რომ ეხლანდელი მდგომარეობა მეტად სახიფათო და საშიშია... ლორდ კრანბორნს შეეკითხნენ ინგლისის პალატაში, თუ როგორ მიდის რეფორმების საქმე მაკედონიაშიო. ლორდ კრანბორნმა პასუხად ისა სთქვა, რომ მას არავითარი ცნობა არ მიუღია ამ საქმის შესახებ. კრანბორნის პასუხი მართლა და გულწრფელი პასუხია, რადგან არავის არავითარი ცნობები არა აქვს—ჯერ პორტა სცდილობს, უნდა ვიფიქროთ რომ გულწრფელად, გზა გაუწმინდოს რეფორმების შემოღებას... ერთი გაზეთი სწერს—„ახლოვდება მომენტი, როცა ყველა დამზადებული ლაღუმი უნდა აფეთქდესო“. შეიძლება ასეთი შეხედულება მეტად პესიმისტიური იყოს, მაგრამ მისი საბუთი ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობაა, რომლის დროსაც არც ერთ ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწეს ხვალინდელ დღის იმედი არ უნდა ჰქონდეს“.

სანამ გაზეთები, თუ პოლიტიკური მოღვაწენი იმედებით თუ უიმედობით შესცქერიან ბალკანეთის ეხლანდელ მდგომარეობას, აი, რა ხდება თვით მაკედონიაში: „კიუსტენდილო, 7 მარტი, დილის 11 ს. და 10 წ. წუხელ ჩამოვიდა საგანგებო შიკრიკი და შეგვატყობინა, რომ პორუჩიკ საევის რაზმს ისევ გარს შემოერტყა ოსმალთა ჯარი. ეს მოხდა 25 თებერვალს დილას. ოსმალების რიცხვი სამი ათასს აღემატებოდა. ასტყდა საშინელი ბრძოლა. აჯანყებულების მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო. გაცხარებულ ბრძოლის დროს, როცა აჯანყებულები გულში სიცოცხლეს ეთხოვებოდნენ, სრულებით მოულოდნელად ს. რუსინოვის მხრიდან ოსმალების უკან გაჩნდა აჯანყებულების მეორე რაზმი ცნობილ ალექსი პოროილიევის მეთაურობით და თოფის სროლა დაუწყეს ოსმალებს, თან ყუმბარებსაც ესროდნენ. გამხნევებული რაზმი საევისა „ურა“-ს ძახილით ემგერა მტერს და ყუმბარები დაუშინა. ორ ცეცხლ შუა მომწყვდეული ოსმალები გონება-დაბნეული გარბოდნენ. ამ ბრძოლაში ოთხასზე მეტი ოსმალო მოჰკლეს.“

ბიტოლიიდან იწერებიან შემდეგს: „რაღაც გაუგებარ მოსაზრების გამო, ოსმალეთის მთავრობამ გაგზავნა 22 თებერვალს ს. დუმბენში (კოსტურის მაზრა) ერთი როტა ჯარი იუზბაშ ალიუშ-ადის სარდლობით. სოფლის მამასახლისმა ჯარის-კაცებს საგანგებოდ მომზადებული ბინები მიუჩინა. მაგრამ იმის მაგიერ რომ აქ მოთავსებულიყვნენ, ჯარის-კაცები ჯერ ეკლესიაში შეცვივდნენ და აქ ყველაფერი წაბილწეს; შემდეგ დაუვრეს სოფლელების სახლებს და იქ რჩებოდნენ ღამის გასათევად, სადაც ახალგაზდა და ლამაზ ქალებს დაინახავდნენ. ოსმალები ძალად აკეთებინებდნენ მათ ვახშამს და შემდეგ აუპატიურებდნენ.

ერთი უნტერ-ოფიცერი ათის ჯარის-კაცით შევარდა მიხო მუშანოვის სახლში, იქეიფა, შემდეგ სახლის პატრონი გარედ გააგდო და ცოლი გაუუპატიურა. უბედური ქმარი საჩივლელად მივიდა იუზბაშისთან, მაგრამ იუზბაშიმ კარგად სცემა და ისევ სახლში გამოგზავნა, სადაც უნტერ-ოფიცერმა სასიკვდილოდ სცემა.

მეორე დღეს კიდევ უარესი ამბები მოხდა: ორი ჯარის-კაცი შევარდა იაგნა კონსტანტინოვას სახლში და მოუნდომეს გაუპატიურება. ახალგაზდა ქალის დედამთილი წაეხმარა რძალს და შეშის ნაპობით თავი გაუხეთქა ერთ ჯარის-კაცს.

სამი ჯარის-კაცი გიორგი რიზოვის სახლში შევიდნენ და ახალგაზდა ცოლი გაუუპატიურეს. რიზოვმა თავი გამოიდო ცოლისათვის, მაგრამ ხიშტით თავი გაუხვრიტეს.

ჯარის-კაცების ასეთ სიმხეცის გამო სოფლის ყველა დედაკაცები (400-მდე) იუზბაშისთან შეყრილან საჩივლელად. მაგრამ იუზბაშიმ მათი მოსმენაც კი არ მოისურვა. დატანჯული ქალები ადგილიდან არ იძვროდნენ და თხოულობდნენ, რომ ჯარის-კაცები ელაგმათ. იუზბაშიმ ქალების გარეკა ბრძანა, მაგრამ ქალებმა ქვები დაუშინეს ჯარის უფროსის სახლსა და ჯარის-კაცებს. ბოლოს ამათ სროლაც დაიწყეს და რამდენიმე უმწეო დედაკაცი მოჰკლეს და დასჭრეს.

საწყალი დედაკაცები ბიტოლიისაკენ წავიდნენ და თან მოკლულის სისხლიანი პერანგი წაიღეს. ბიტოლიამდე მიაღწია ორასმა ქალმა, დანარჩენები გზაში დავარდნილ... ვნენ. მთელი ეს ბრბო გაუპატიურებულ, ნაცემ და დაჭრილ ქალებისა მივიდნენ ევროპის სახელმწიფოების კონსულებთან, რომ თავიანთი აუტანელი მდგომარეობა შეეჩივლათ. აქაც კი ზოგი კონსული შეუბრალებლად მოექცა უბედურ ქალებს—მოგვშორდით, ალბად, თქვენ თვითონ დანებდით ჯარის-კაცებსაო.

ბოლოს დედაკაცები მივიდნენ გუბერნატორის სახლში. გუბერნატორმა დიდი საყვედური უთხრა მათ, რატომ წახვედით კონსულებთანო და პირველად ჩემთან რად არ იჩივლეთო. ამაზე ქალებს შემდეგი პასუხი მიუციათ: „გასულ წლის ოქტომბრიდან ორმოცდაათჯერ გაჩხრიკეს ჩვენი სოფელი, მაგრამ საეჭვო არაფერი უნახავთ. რვაჯერ მოგართვით საჩივარი, მაგრამ აქამდე არავითარი ზომა არ არის მიღებული, რომ საშინელი უწესოება მოსპონ. პირიქით, ეხლა

ჯარიც გამოგვიგზავნეს და გვაუპატიურებენ. ეხლაც თუ არ მიაქცევთ ყურადღებას ჩვენ უკიდურეს მდგომარეობას, არა თუ კონსულებთან წავალთ, იძულებული გავხდებით სხვა გზასაც მივმართოთ. ბოლოს თუ არც ხალხი და არც სულთანი არ დაგვეხმარება, ღმერთი იქმნება ჩვენი მხსნელი".

* * *

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ „კავკაზ"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული თავ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი დაამტკიცა ქალაქის მოურავის თანამდებობაზე.

◆ გუშინ, 19 მარტს, ალექსანდროვის ბაღის შუა ნაწილში აკურთხეს რუსეთის გამოჩენილ მწერლის ნ. ვ. გოგოლის ძეგლი.

დილის 11 საათიდან ტფილისის სასწავლებლებში, პირველ დაწყებით სკოლებსა, ვაჟთა და ქალთა ყველა გიმნაზიებსა, ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიასა, ტფილისის სასულიერო სემინარიასა, ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელსა, ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტსა, კადეტთა კორპუსსა, საიუნკრო სასწავლებელსა და სხვა სასწავლებლებში შეწყვეტილ იქმნა სწავლა და მოწაფენი თავიანთ უფროსებისა, მასწავლებლებისა და აღმზრდელთა წინამძღოლობით მწყობრად, მუსიკით, შეკრიბნენ ალექსანდროვის ბაღში, ირგვლივ ძეგლის გარშემო და ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილში. უკვე ორი საათი შესრულდა, როცა მთელი ბაღი აივსო მოსწავლე ახალგაზდობით თავიანთ აღმზრდელ-უფროსებითა. ამ დროსათვის სამხედრო ტაძარში საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ, ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით, გარდაიხადა პანაშვიდი განსვენებულ მწერლის სულის მოსახსენებლად. შემდეგ სამღვდელოება, ქალაქის წარმომადგენელნი, სამოსწავლო უწყების წარმომადგენელნი, საშუალო სასწავლებლების უფროს კლასების მოწაფენი და დიდძალი საზოგადოება გაემართნენ ალექსანდრეს ბაღში, სადაც ძეგლთან გარდახდილ იქმნა მცირე პანაშვიდი საქართველოს ეგზარხოსის მიერ მრავალ სამღვდელოებასთან ერთად. ძეგლი მშვენიერად მორთული იყო ცოცხალის ყვავილებითა და ძირს დაგებულ ხალიჩებით. ძეგლის კურთხევის დამთავრების შემდეგ ქალაქის მოურავის მოადგილემ შესტაკოვმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომლითაც აღნიშნა ძეგლის დადგმის ისტორია და დასასრულ მადლობა გარდაუხადა ქალაქის თვითმმართველობის სახელით ყველა დამსწრეთ ძეგლის კურთხევაზე მოსვლისა და თვისის დასწრებით განსვენებულ დიდებულ მწერლის პატივის ცემისათვის. შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ვაჟთა მეორე გიმნაზიის მასწავლებელმა სოკოლოვსკიმ და აღნიშნა მნიშვნელობა რუსეთის გამოჩენილ სატირიკოსის გოგოლისა. მუსიკის ხოროებმა „Коль славенъ"-ი შეასრულეს, მგალობლებმა „დიდება" სთქვეს. შემდეგ მწყობრად გაიარეს ჯერ ქალაქის პირველ დაწყებით გოგოლის სახელობის სკოლების მოწაფეებმა, რომელთაც გვირგვინით შეამკეს გოგოლის ძეგლი. ამათ მიჰყვნენ სასულიერო სემინარიის მოსწავლენი, რომელთაგან ერთმა, მე-VI კლასის მოწაფემ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და შემდეგ მიიტანა და თავის ამხანაგების სახელით გვირგვინით შეამკო ძეგლი. ამას მიჰყვნენ დედათა საეპარქიო სკოლის მოსწავლენი, ქალაქის სკოლების მოსწავლენი და შემდეგ მუსიკით სათითაოდ ჩაუარეს ძეგლს გიმნაზიებისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, კადეტთა კორპუსისა, საიუნკრო სასწავლებლისა, სათავად-აზნაურო გიმნაზიისა და სხვა სასწავლებლების მოწაფეთ თავიანთ უფროსების წინამძღოლობით. ძეგლთან მიახლოვების დროს მოსწავლენი გვირგვინით ამკობდნენ ძეგლს და მოკლე სიტყვასაც ამბობდნენ. ძეგლის კურთხევას დაესწრნენ: გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, სამოსწავლო ოლქის უფროსი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, ტფილისის საბჭოს ხმოსნები, წარმომადგენელნი სხვა-და-სხვა დაწესებულებებისა, ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებისა და მრავალნი სხვანი. ქუჩებში დიდძალი ხალხი იდგა.

◆ რკინის გზათა მთავარმა გამგეობამ ბრძანება გასცა, რომლის ძალითაც რკინის გზების უფროსებსა და გამგეობებს ნება ეძლევათ სისხლის სამართლის პასუხის გებაში მისცენ ის მოსამსახურენი, რომელნიც უბილეთო მგზავრებს წაიყვანენ.

◆ სამშაბათს, ღამე, ტფილისში გარდაიცვალა სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის მეორე დეპარტამენტის თავმჯდომარე ლ. ლ. ფატეევი. ლ. ფატეევი 10 საათზე სხვებთან ერთად წასულა „კრუჟოკში", სადაც უქეიფოდ გამხდარა. როდესაც სახლში მისულა, გული წასვლია და იმავე წუთს გადაცვლილა. ექიმების აზრით, ფატეევი გულის ავადმყოფობისაგან გადაიცვალა.

◆ წარსულ საანგარიშო წლის განმავლობაში ქართულ დრამატიულ საზოგადოებას საწევრო ფული შემოსვლია 150 მანეთამდე. თუ სახეში მივიღებთ საზოგადოების წევრთა რაოდენობას, არ შეგვიძლიან მწუხარებით არ აღვნიშნოთ, რომ უმრავლესობა მხოლოდ სახელით არის მონაწილე დრამატიულ ხელოვნების განვითარების საქმეში და არა საქმით, რადგან ბევრნი დროზე საწევრო ფულსაც არ იხდიან.

◆ როგორც „ნოვ. ობოზრ."-ს გაუგია, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ა. ა. ოჰანეზოვი ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად გადაჰყავთ. ტფილისში ჰნიშნავენ ამ სასწავლებლის დირექტორს ინჟენერ პობედიმოვს.

◆ ჰნიტოს ქარხანას ბათუმში თავის მოსამსახურეთა სამკურნალოდ, როგორც „ჩერ. ვესტ." ი გადმოგვცემს, მიუწვევია ექიმი გოლსკი, ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი.

◆ მანგლისიდან გვწერენ: 16 მარტს, ნაშუადღევის ორ საათზე, ცეცხლი გაუჩნდა სტეფან დიდ-ზურაბოვის ფართლის მაღაზიას, რომელიც სულ ერთიანად გადაიბუგა. ვერაფერი ვერ გადაარჩინეს. თვითონ ტანისამოსის გამოტანაც-კი ვერ მოასწრეს. ზარალი ორი ათას ხუთას თუმანს აღემატება. 50 წელიწადია, რაც დიდ-ზურაბოვის ფირმა ვაჭრობს მანგლისში. კარგია კიდევ, რომ ქარი არ იყო, თორემ ახლო-მახლო დუქნები ვერ გადარჩებოდა.

◆ დღევისთვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: სოლომონ სახოკიასი, რომელსაც განონიერ ქაღალდების მოსპობა ჰბრალდება, სპირიდონ გაშაკიძისა, რომელსაც ყალბი საბუთის ქაღალდების დამზადება ჰბრალდება, ნესტორ ტაბატაძისა—კაცის მოკვლა ჰბრალდება, სოფელ საგანეს მცხოვრების ფასია აბაშიძის, რომელსაც პოლიციის დარაჯის ხელით შეურაცხება ჰბრალდება, და სხვათა.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ცმერეთის მეფე სოლომონ მეორე", ისტორიული აზბავი თედო. ხუსკივაძისა, გამოცემული მ. გაჩეჩილაძის მიერ. წიგნაკი ღირს ორ შაურად.

◆ დღეს, 20 მარტს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექმნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას.

◆ თემირ-ხანშურის ოლქის უფროსი სწერს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, შეატყობინეთ ვქვთ თუ არა გასასუფი კალიების საფლეტი მანქანები პლატცის სისტემისა და შვეინფურტის ბალახი, რომელიც საუკეთესოა კალიასთან ბრძოლის დროსაო. უფროსი ამასთანავე სთხოვს შეატყობინონ, თუ არა აქვს ეს ნავთები, მათი საზღვარ-გარეთიდან უბაჟოდ გამოწერა შეიძლება თუ არაო.

◆ 16 მარტს ტფილისის მცხოვრებმა ვერა ზოტინისამ პოლიციაში განაცხადა, რომ ბინიდან 13 წლის ქალმა მარიამ სტოლიარენკომ მოიპარა ქისა, რომელშიაც 15 მან. მქონდაო. ქურდი დააპატიმრეს.

◆ 18 მარტს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ერევნის გუბერნიის გუმრის მცხოვრებ არამ ტიგრანოვისა, რომელსაც მეზობლის ბაღდასარ გოლტუხჩევის სახლის განზრახ გადაწვა ჰბრალდებოდა. ტიგრანოვს შეჰყვარებია გოლტუხჩევის ქალი სოტენიკა და სამჯერ ბარათიც მიუწერია, ქალი არ გაათხოვო, სხვას არ მისცე, თორემ საქმე უსისხლოდ არ ჩაივლისო. 1901 წ., 28 ივნისს, ვიღაცას გოლტუხჩევის სახლისათვის ცეცხლი წაუკიდებია. სახლის პატრონს ეჭვი აუღია ტიგრანოვზე. ტიგრანოვი პასუხის გებაში მიუციათ. ოლქის სასამართლოს ტიგრანოვი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და კატორღაში 2 წლითა და 8 თვით გაგზავნა. პალატამ ტიგრანოვი, რომელსაც ბ-ნი ოპოჩინინი იცავდა, უდანაშაულოდ იცნო და სასჯელისაგან სრულიად გაანთავისუფლა.

* * *

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ პეტერბურგში არსებობს ქალთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. ამ საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების წინაშე, თხოულობს ნება მიეცეს დააარსოს ქალთათვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამ შუამდგომლობას მალე განიხილავს სამინისტროსთან შემდგარი განსაკუთრებული კომისია.

◆ პეტერბურგი დიდის ამბით ემზადება 200 წლის იუბილეისათვის. სადღესასწაულოდ ქალაქის საბჭომ გადასდო 200,000 მანეთი. აქედან. სახალხო სეირნობას მოხმარდება—20,000 მან., საბავშვო დღესასწაულს—10,000 მ., მდინარეში გემების დოლისა და სხვა გასართობების გამართვას—10,000 მ., ქალაქის მორთვა-მოწყობას—60,000, ნადიმის გამართვას საბჭოში 16 მაისს—8,000; სადილის გამართვას სათავად-აზნაურო საკრებულოში 17 მაისს—20,000; მასპინძლობა ჯარს—10,000; რაზმების საჩუქრებს—15000 მან. და სხვა.

◆ სანავოსნო გამგეობას განუზრახავს გამოსცეს ნავოსნობის ახალი წესები. ეს წესები სავალდებულო იქმნება რუსეთის ყველა ნავთ-სადგურისათვის.

◆ მოსკოვის საგუბერნიო ერობას განუზრახავს მაზრებში უმაღლეს სახალხო სკოლების დაარსება. ამ საქმის შესამუშავებლად საერობო გამგეობამ განსაკუთრებული კომისია აარჩია.

◆ ტრანსვაალის მაზრაში საცდელად ჯარის მობილიზაცია გამართეს 24 თებერვლიდან 3 მარტამდე. ამ მობილიზაციამ სოფლელნი საშინლად აალაპარაკა. ზოგიერთნი იმას ამბობდნენ, რომ ომია „ოსმალოსთან" და სათადარიგო ჯარის-კაცები იმიტომ გაიყვანესო. საქმე იქ მიდგა, რომ ბევრმა საქონელი და ბარგი-ბარხანა გაჰყიდა და აცრემლებული ცოლ-შვილით ქა-

---

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲰᲔᲜᲠᲘᲙ ᲘᲑᲡᲔᲜᲘ

ჰენრიკ იბსენი და ლევ ტოლსტოი—აი, ის ორი უდიდესი თანამედროვე მწერალი, რომელთაც მთელი განათლებული კაცობრიობა იცნობს. საზოგადოების, ჟურნალ-გაზეთებისა და კრიტიკის ყურადღებას დღეს არავინ ისე არ იზიდავს, როგორც ეს ორი მხცოვანი მწერალი. ყოველი იმათი ნაწარმოები, ახალი აზრი და სიტყვა, შემთხვევით წარმოთქმულიც-კი, ელვის სისწრაფით ედება როგორც ევროპასა და აზიას, ისე შორეულ ამერიკას და დედამიწის სხვა კულტურულ კუთხეებს. სთარგმნიან ყველა ენაზე იმათ თხზულებებს, არდგენენ ყველა თეატრში იმათ პიესებს; ბევრგან იბსენი და ტოლსტოი ნამდვილ სათაყვანებელ კერპებად გაიხადეს. საყურადღებოა, რომ ორივენი ერთსა და იმავე წელს—1828 წ. დაიბადნენ. საყურადღებოა ისიც, რომ ორივეს, ღრმად მოხუცებულს, ერთნაირად შერჩა შემოქმედებითი ნიჭი, მედგარი, მოუსვენარი ხასიათი და ახალგაზდური ძალღვის ცემა.

ერთი ამ დიდებულ მწერალთაგანი შვილია პატარა, მაგრამ ფხიზელ და შრომის მოყვარე ნორვეგიისა. 7 მარტს სწორედ 75 წელიწადი შესრულდა, რაც იბსენი დაიბადა და ეს დღე საერო დღესასწაული იყო მთელის ნორვეგიისთვის. მუდამ მოლუშულ ნორვეგიას 7 მარტს სიხარულის ღიმილმა გადაჰკრა სახეზე, მუდამ შრომაში გართულმა ნორვეგიელმა სადღესასწაულო ტანისამოსი ჩაიცვა, რომ პატივი ეცა დამსახურებულ მამულიშვილისთვის, მადლობა გადაეხადა ერის სახელის განმთქმელისათვის და ღრმა თანაგრძნობა გამოეთქვა თავისუფლებისა და პიროვნების მედგარ მებრძოლისთვის. პატარა ერის დღესასწაულს ბანი მისცა დიდმა ევროპამა და ამერიკამაც. თითქმის ყველა კუთხიდან დეპეშა დეპეშაზე მიდიოდა და მიდის დღესაც თოვლით მოსილ და ნისლღრუბლით მოცულ ნორვეგიაში. დღეს ჩვენი თეატრი და საზოგადოება ჰმართავს იბსენის პატივსაცემად წარმოდგენას და ამით საერთო ფერხულში ებმევა.

ჰენრიკ იბსენი, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, დაიბადა 1828 წელს, 7 მარტს (ძველის სტილით, ხოლო ახალის—20 მარტს). სკიენი—ის პატარა, ბევრისთვის უცნობი, ქალაქია, სადაც იბსენმა პირველად თვალი აახილა და დღის სინათლე დაინახა. მამა იბსენისა ნორვეგიელი იყო, გემის პატრონი, ხოლო დედა—გერმანელი. იბსენის ოჯახს შეძლება კარგი ჰქონდა, ამიტომ პირველ სიყმაწვილისას პატარა ჰენრიკს გაჭირვება არ გამოუცდია. მამა იბსენისა გულ-ღია კაცი იყო, უყვარდა ხელ-გაშლით ცხოვრება და სტუმართ-მასპინძლობა; სამაგიეროდ დედას ყველანი გულ-ჩათხრობილ და ჩუმ ადამიანად იცნობდნენ. თავისი ხასიათი დედამ შვილსაც უანდერძა; მარტოობა და გულ ჩახურულობა იმ თავითვე ჰენრიკის ხასიათის ნიშნობლივ თვისებად გადაიქცა.

რვა წლისა იყო იბსენი, როდესაც იმისი მამა გაკოტრდა. ოჯახმა ვეღარ შესძლო უწინდებურად ხელ-გაშლით ქალაქში ცხოვრება და სოფელში, ერთ მოუვლელ მამულში, გადასახლება ამჯობინა. ცხოვრების პირობის გამოცვლამ დიდი გავლენა იქონია მთელს ოჯახზე და, სხვათა შორის, პატარა ჰენრიკზედაც. უმისოდაც ჩუმმა იბსენმა ამის შემდეგ ცხრა კლიტურით დაიკეტა გულის კარი. იმ დროს, როდესაც უმცროსი ძმები ეზოში დახტოდნენ და თამაშობდნენ, ჰენრიკი სამზარეულოს გვერდით პატარა ქოხში იჯდა და თავისთვის ჩხირკედელაობდა. ძმები მოსვენებას არ აძლევდნენ, კარებს უბრახუნებდნენ, ქვებს ესროდნენ, უნდოდათ სათამაშოდ გამოეყვანათ, მაგრამ იბსენი იმათ ცელქობას ყურადღებას არ აქცევდა, თავისთვის განდეგილივით იჯდა და ან ძველ საზღვაოსნო წიგნებს ათვალიერებდა, ან კიდევ სხვა და სხვა სათვალთმაქცოებს იგონებდა.

14 წლისა იბსენი რეალურ სკოლაში მიაბარეს. იქაც მომავალი დრამატურგი განმარტოებულად სცხოვრობდა. იჯდა მთელის საათობით ერთ ადგილას და ჰფიქრობდა, ან კიდევ წიგნს ჩაჰკირკიტებდა. ყველაზე მეტად სასწავლო საგნებს შორის იბსენს მაშინ ისტორია და „სარწმუნოება" უყვარდა. სულ ორი წელიწადი დაჰყო იბსენმა რეალურ სკოლაში. ოჯახის საქმეები ისე აიწეწდაიწეწა, რომ იძულებული შეიქნა სკოლიდან გასულიყო და შრომას შესდგომოდა. მალე თექვსმეტის წლის ყმაწვილი კაცი მეაფთიაქეს თანაშემწედ გახდა გრიმშტადში.

იბსენმა სკოლას თავი გაანება, მაგრამ კითხვასა და გონების ვარჯიშზე ხელი არ აიღო. პირიქით, იგი წიგნს წიგნზე კითხულობდა და გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა ევროპის აბობოქრებულ ცხოვრებას. ამ დროს ევროპაში ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა: 1848 წლის სარევოლიუციო ტალღა კიდით-კიდემდე მოედო დასავლეთ ევროპას და იბსენმაც, ამ თავისუფლების მოციქულმა, თავისი აფთიაქი ნამდვილ საავიტაციო კლუბად გადააქცია. საღამო-საღამოობით იბსენი ხშირად აკვირვებდა შეკრებილ მოქალაქეთ, მუდამ მშვიდ და წყნარ ნორვეგიელებს, თავის გაბედულ და შეუპოვარ სიტყვებით.

ამავე დროს მოჰკიდა იბსენმა კალამს ხელი და დაიწყო წერა. სწერდა აღტაცებულ ოდებს და ქება-დიდებით იხსენიებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ უნგრელებს. ოდების წერასა და აფთიაქში წამლების წონასთან ერთად იბსენი გულ-მოდგინედ ემზადებოდა საექიმო ეგზამენისთვის. სხვათა შორის ლათინურის სწავლების დროს წაიკითხა სალიუსტის „კატილინა" და ციცერონის სიტყვები, კატილინას წინააღმდეგ წარმოთქმული, და ამათ გავლენით დასწერა სამ თვეში თავისი პირველი დრამატიული ნაწარმოები—„კატილინა". დრამა ძალიან მოეწონა იბსენის ამხანაგსა და მეგობარს შულეროდს. შულეროდი იყო იბსენის დრამატიულ ნიჭის პირველი დამფასებელი და თაყვანის მცემელი. შულეროდმა დრამა ქრისტიანიაში წაიღო და თავის ხარჯით გამოსცა. სანამ გამოსცემდა, თეატრების დირექციებსა და რედაქციებს წარუდგინა, მაგრამ ყველგან ზრდილობიანის პასუხით ხელნაწერი უკანვე დაუბრუნეს. პირველი პიესა იბსენისა სტუდენტთა წრეებში მოეწონათ; სამაგიეროდ კრიტიკამ ვერაფერი სტუმართმასპინძლობა გაუწია დრამას: ისე გაჰკიცხეს იგი, რომ ახლად გამოცემულ წიგნისა 30 ცალი ძლივს გაიყიდა. მალე იბსენი ქრისტიანიაში გადავიდა და დანარჩენი ეგზემპლიარები ერთ დუქნის პატრონს მიჰყიდა

დაქში წავიდა. ამავე დროს ხმა გავრცელდა „მტრის" გამარჯვებისა და მოახლოვების შესახებ. მთელი ერთი კვირა ხალხი შიშსა და კანკალში იყო თურმე.

პრესა

ბოლოს დროს სატახტო ქალაქების გაზეთებმა აღძრეს საყურადღებო საკითხი საფაბრიკო კანონმდებლობის განვითარების საჭიროების შესახებ. ამ საჭიროებას გაზეთები ასაბუთებენ იმ მოსაზრებით, რომ რუსეთში ბოლო ხანში მეტად განვითარდა მრეწველობა, ხოლო საფაბრიკო კანონმდებლობა ერთობ მცირე და მოძველებული არისო. მას შემდეგ, რაც გამოიცა პირველი კანონი მშრომელთა დაცვის შესახებო, ამბობენ გაზეთები, რუსეთის მრეწველობაში ბევრი სხვა-და-სხვა ცვლილება მოხდა. საქარხნო და საფაბრიკო, აგრეთვე სამთო მრეწველობაში მუშათა რიცხვმა შესამჩნევად იმატა: 1887 წლიდან 1897 წლამდე მუშათა რიცხვი 1-მილ. 318 ათასიდან 2-მილ. 98 ათასამდე ავიდა, 1900 წელს მათი რიცხვი უკვე 2-მილ. 350 ათასზე მეტი იყო. მრეწველობის ზრდამ გამოიწვია მრეწველთა და მუშათა შორის ურთიერთობის შეცვლა.

როდესაც მრეწველობის ზოგიერთ დარგში კრიზისი დადგაო, სწერს გაზ. „რუსკ. ვედომ.", მრეწველებმა ხელი მიჰყვეს სინდიკატების შედგენას; ამის წყალობით მრეწველთა ჩვეულებრივი უპირატესობა მუშების დაქირავების საქმეში კიდევ უფრო გაიზარდა მუშების არა სასარგებლოდ. ამავე დროს მუშათა შორის ძალიან გავრცელდა წერა-კითხვა; ბევრი მათგანი სრულიად შეგნებულად ცხოვრობს და დიდათ აფასებს თავისუფალ დროს; მათ წინანდელზე უფრო ჰსურთ მეტი თავისუფალი დრო იქონიონ და ეს დრო თავის განვითარებას მოახმარონ. ამასთანავე ბოლოს დროს ძალიან გახშირდა უთანხმოება მრეწველთა და მუშათა შორის. წვრილი და საოჯახო მრეწველობა, წინააღმდეგ წინასწარმეტყველებისა, არ დაიღუპა და წინანდებურად სამუშაოს აძლევს მრავალ ათას და მილიონს მუშას, რომელნიც მოკლებულნი არიან საფაბრიკო კანონების დაცვასა და მზრუნველობას.

ამრიგად, მრეწველობა გაიზარდა, მუშათა რიცხვმა იმატა, მათი მოთხოვნილებაც განვითარდა, — საფაბრიკო კანონმდებლობა-კი განუვითარებელი დარჩა და თავის დანიშნულებას ველარ ასრულებს. ხსენებულ გაზეთის სიტყვით,

რუსეთის მთელი საფაბრიკო კანონმდებლობა შეიცავს ხუთ კანონს: 1) კანონი 1882 წ. 1-ლ ივნისისა მცირეწლოვან მუშათა შესახებ, 2) 1885 წ. 3 ივნისისა—ახალგაზდა და მუშა-ქალთა ღამით მუშაობის აკრძალვის შესახებ, 3) 1886 წ. 3 ივნისისა—ქარხნებსა და ფაბრიკებზე მრეწველთა და მუშათა შორის ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ, 4) 1890 წ. 24 აპრილისა—მცირეწლოვანთა და ქალთა სამუშაო დროს შემცირების შესახებ და ბოლოს 5) 1897 წ. 2 ივნისის კანონი საფაბრიკო და სამთო მრეწველობის მუშათა სამუშაო დროს განწესრიგების შესახებ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს კანონმდებლობა სავსე არ არის და როგორც რიგია, ისე ვერ იფარავს მშრომელთ. საჭიროა მისი განვითარება და დამატება.

თეატრი

დღეს, 20 მარტს, ქართულ თეატრში **საინტერესო წარმოდგენაა** დანიშნული. დრამატურგის ჰენრიკ იბსენის პატივსაცემად ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს იმის დრამას „ნორა"-ს. მონაწილეობა იღებს მთელი დასი. ნორას როლს შეასრულებს ქ-ნი ნ. ჩხეიძე. დრამის შემდეგ ითამაშებენ ვოდევილს „დედის ერთას", დასასრულ აპოთეოზი გაიმართება.

შაბათს, 22 მარტს, სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზე, ქართულ სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ოსტროვსკის კომედიას, „უდანაშაულოდ დასჯილნი"-ს. ამავე პიესას სცენის მოყვარენი გაიმეორებენ სამშაბათს, 25 მარტს, რკინის გზის სახელოსნოების თეატრში.

როგორც ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის 1920 წლის ანგარიშიდანა სჩანს საზოგადოებას წარმოდგენებისა, თეატრისა, შემოწირულებისა და სხვა-და-სხვა წყაროებიდან შემოსულა სულ 28,298 მან. 92 კაპ. საანგარიშო წელს გამგეობას დახარჯვია თეატრისა, მის მოსამსახურეთა და სხვ. შენახვა, გათბობა, განათება და სხვაზე 17,699 მან. 52 კაპ., დასის შენახვა 9,765 მან. 54 კაპ. და სხვ. სულ 27,465 მან. 6 კაპ. ასე რომ გამგეობას საანგარიშო წელს დარჩენია 833 მან. 86 კაპ.

წერილი კახეთიდან

ზარალი ხევებისაგან.—უგზოობა.—გლეხ-კაცის გაჭირვება და დავალიანება.—ქურდობა.

თელავის მაზრის სოფლები თითქმის ერთ გეგმაზეა გაშენებულნი და ერთნაირი ადგილ-მდებარეობა უჭირავთ, რასაკვირველია, უმრავლესობას. გაღმა მხრის სოფლები, მაღრაანიდან დაწყებული სოფ. ძველ-გავაზამდე გაშენებულია თვით კავკასიის მთის დასაწყისში, ხოლო გამოღმა, სოფ. ქისტაურიდან ურიათუბნამდე—ცივ-გომბორის მთის კალთაზე. სოფლებს ერთი-ერმანერთისაგან ჰყოფს ხევები. კახეთი მდიდარია რიყე-ხევებით. მომეტებული მშრალია, წყალი ჩნდება მხოლოდ გაზაფხულზე, თოვლი რომ დნობას იწყებს და წვიმის დროს. ზოგი ხევი, მაგალ., ლოპოტა, დურუჯი, კისისხევი, თურდო და სხვ. საშიშია წყალ-დიდობით, ამ ხევებს ბევრი ზარალი მოუტანია მცხოვრებთათვის და ბევრის სახნავ-სათესი და ვენახი მიუცია ალაზნის ტალღებისათვის. თურდო არა ერთხელ სწვევია მძლავრი ტალღებით სოფ. ახატელს, გულგულას და რუისპირს, არა ერთხელ წაუღებია სოფლელთა სახლები და მამულ-დედული. ესეთივე დღე დაუყენებია კისისხევს სოფ. კონდოლისათვის; ხოლო დურუჯმა 1898 წელს ისე მძლავრად მოიქნია კუდი, რომ კალაპოტში ველარ დაეტია, გადმოვარდა ზედ შუა ყვარელზე, მერე შილდის ბოლოზე და დიდი ზარალი მოუტანა. სახლები დააქცია და წაიღო, სარჩო-საბადებელი წაართო, რამდენიმე სული ადამიანი იმსხვერპლა და საქონელი ხომ, რასაც მოატანა, დაახრჩო.

აი, სწორედ ამისთვის მცხოვრებნი, როცა-კი ძალად გამოიყვანენ სამუშაოდ, ამაგრებენ ხევების ნაპირებს, აგდებენ ფიჩხის ლობეებს, ჰყრიან ფიჩხისავე კონებს და ქვას, მაგრამ ასეთი სიმაგრე ვერ უძლებს აბობოქრებულ სტიქიონის ძალას. ასე არ იქცევა საუფლისწულო მამულის გამგეობა. ამ 4—5 წლის წინად, როცა კისისხევმა თავისი ტალღები დასახელებულ მამულსაც მიუმარჯვა, გამგეობა მედგრად შეებრძოლა. გაავლო შიგ ხევში საჟენის სიგანესა და რამდენსამე ათ-საჟენის სიგრძეზე დუღაბით გალავანი და ამით სრულებით უზრუნველ-ჰყო მამული წყალ-დიდობისაგან. ჩვენ სოფლელთათვის ეს საუკეთესო მაგალითია, მაგრამ სად შეუძლიათ იმისი წაბაძვა, არც ღონე შესწევთ და არც თაობა, როცა უბრალოდ ფიჩხის გამაგრებასაც გაურბიან და მარტო მაშინ გამოდიან ნაპირის გასამაგრებლად, როცა წყალი კარზე მოადგებათ.

წელს შედარებით თოვლიანი ზამთარი იყო, მთებში ხომ ეხლაც დიდი თოვლია. დაიწყო გაზაფხული, თოვლი წყლად ქცეული დაიძრა და დღეს თუ ხვალ ჩვენი ხევებიც ადიდდება. ამ ჟამად ამაზე არას ჰფიქრობენ და დასაცველად არ ემზადებიან. დრო კი ამ გარემოებას ეხლავე ყურადღება მიაქციონ, თორემ მერე გვიან-და იქმნება.

თვით მცხოვრებნი არას დროს არ ითავებენ ამ საქმეს, თუ ძალად არ გაიყვანეს, როგორც გზის გაკეთება-გასწორებაში ჰხდება ხოლმე. გზებშიაც მარტო სათოსტო გზას აქცევენ ყურადღებას. სოფლის გზები-კი ისეთ მდგომარეობაშია, რომ არა თუ კაცს უძნელდება იქ სიარული ავდარში, არამედ უსაპალნო საქონელსაც კი. სოფლის ბოლოებზე, სადაც გაზაფხულიდან დაწყებული ზამთრამდე განუწყვეტლივ მოძრაობაა, ხეირიანი გზები არ არის. ამ დროს კიდევ ხშირად შეხვდება გადაბრუნებულ, ლაფში ჩაფლულ და გადატეხილ ურემს, ამასთან ბევრ ადგას გზა ისეთი ვიწროა, რომ ორი ურემი ერთად ვერ გაივლის. ასეთ გზების წყალობით მცხოვრებნი დროსაც ბევრს ჰკარგავენ, საპალნის გადატან-გადმოტანაც უძნელდებათ და საქონელსაც [illegible] მაგრამ ვინ შეიტკივებს თავს! თვით მცხოვრებნი თავს არ იტკივებენ და არც საკვირველია: უამისოდაც ბევრი ტანჯვა და ხარჯი აქვს და გზებს სადღა გაუძლებს!

გლეხ-კაცის ოჯახს სინსილა გამოელია, იგი დაეცა. უპირველეს ყოვლისა ხარჯების გადახდა უჭირდება. წლის ნამუშავარ-ნამოღვაწევიდან იმას მცირე რამე რჩება. თუ რამე დარჩა, იმით კიდევ ცოლ-შვილს უნდა ჩააცვას-დახუროს, მოყვარე-ნათესაობას დაუხვდეს, დღეობა გადაიხადოს და ოჯახი აცხოვროს. შუათანა მოსავლის დროს, ხარჯების გასტუმრების შემდეგ, იმდენი აღარა რჩება გლეხს, რომ კუჭი გაიძღოს ახალ მოსავლამდე. კიდევ კარგი, თუ უბედურება რამ არ დაატყდა თავს: ან ავადმყოფობა ან სიკვდილი, რომელიც აუცილებლად ვალის გზაზე აყენებს.

ახლა ყველა ამას ჩარჩ-ვაჭრებიც დაუმატეთ. თელავის მაზრაში ძნელად არის ისეთი სოფელი, სადაც დუქანი არ იყოს, ზოგგან ხომ ორი, სამი და ოთხიც არის. ვაჭრობენ წვრილმანით და ღვინო-არყით. აი აქედან იწყება ის ნემსკავი, რომელსაც ძალა უნებურად ყველა ჰხვდება. სოფლის ნაწარმოები და სანოვაგე ამ დუქანში სადდება და აქედან იყიდება. მყიდველი უმეტესად ჯერ დუქანში ჩამოხტება, გაიგებს სოფლის ვითარებას და მერე შეუდგება საქმეს. დუქანში კარგად იციან ყველას ვითარება, ვინ როგორ სცხოვრობს, ვის როგორ უჭირს ფული; ამით ჰსარგებლობენ და ყველა ნაწარმოებს იაფად იგდებენ ხელში. ჩარჩ-მედუქნეებს ზოგიერთი თელაველი ვაჭრებიც არ ჩამოუვარდებიან [illegible], ე. ი. ასესხებენ ფულს სარგებლით, იგირავებენ გლეხ-კაცის ვენახებს და სხვა. ზოგი დაუნათლიმამიდება რამდენსამე გლეხს, გაიჩენს იმათთან ან დუქანში ბინას და ჰხვეტავს ფულს. თვით მცხოვრებნი იწყებენ იმასთან სიარულს ფულის სათხოვნელად. გაზაფხულზე გლეხ-კაცს ერთი ფული არ მოეპოვება, ამ დროს-კი ვენახების წამლობაა. უწამლოდ გაუშვას, ველარაფერს გამორჩება და ნამუშავარიც დაეკარგება, ამისთვის იგი ნათლიას-ან-ნაცნობს აძლევს ვენახის შეწამლვაში მთელის მოსავლიდან. ამას გარდა თხლე-ჭაჭას ადრევე იგდებენ იაფად, ფულის დარიგებით, ყურძენსა ყიდულობენ და სხვა. ან-კი რა ჰქმნან მცხოვრებთ, რომ იმათ არ მიჰმართონ და მათი სიტყვა არ შეასრულონ! ვისთან წავიდეს გლეხი, როცა გაჭირვება კარზე მიადგება, ვინ გაუმართავს ხელს? რა თქმა უნდა, წვრილი კრედიტი დიდ სამსახურს გაუწევდა მცხოვრებთ, ბევრს ააცდენდა ბადეში გაბმას, მაგრამ ვინ ღირსებთ გახედავს ამას...

ქურდობამ და ტაცობამ მაგრად მოიკიდა ფეხი. შარშან იყო ეკკლესიებს მიჰყვეს ხელი, გატეხეს რამდენიმე ეკკლესია და სულ მთლად

სანოვაგისა და სურსათის გასახვევად.

ქრისტიანიაში იბსენი 1850 წელს გადავიდა, ეგზამენი დაიჭირა და გელბერგის სკოლაში შევიდა. ამავე სკოლაში იმ დროს სწავლობდნენ ნორვეგიისა და ნორვეგიის გარედაც ცნობილნი—ბიერნსენი, იონასშალი, გარბურგი და ბინიე. ახალგაზრდა დრამატურგი ღარიბად სცხოვრობდა და სწავლას მაგრე რიგად ვერ უდებდა გულის ყურს. ვერც უკანასკნელი ეგზამენი დაიჭირა მაინცა და მაინც თვალსაჩინოდ. ფილოსოფიის დოკტორის ხარისხი იბსენმა მხოლოდ შემდეგში მიიღო. სამაგიეროდ დრამატურგის სახელი ამ დროს მიიპოვა. 1850 წელს, 26 სექტემბერს, პირველად წარმოადგინეს იმისი ერთი დრამა. ამავე დროს იბსენმა ხელი მოჰკიდა პუბლიცისტურ მოღვაწეობას და 1851 წელს ბოტტენ-ჰანსენსა და ბინიესთან ერთად დააარსა ყოველ კვირეული პოლიტიკური გაზეთი. იბსენმა პირველ წერილიდანვე გაილაშქრა როგორც კონსერვატიულ, ისე ლიბერალურ დასების წინააღმდეგ. გაზეთი მალე მოისპო; ხელის მომწერთა რიცხვმა ასამდე ძლივს მიაღწია.

ერთის წლის შემდეგ იბსენი ბერგენის თეატრის დირექტორად მიიწვიეს და დრამატიულ ხელოვნების შესასწავლად კოპენჰაგენსა და დრეზდენში გაჰგზავნეს. ამ მგზავრობამ და, საზოგადოდ, ახალმა თანამდებობამ დიდი სარგებლობა მოუტანა დრამატურგს. იბსენმა გაიცნო არტისტები და დრამატურგები, შეისწავლა სასცენო ტეხნიკა. ამავე დროს იბსენი გაიტაცა ახალმა მოძრაობამ. 1848 წლამდე ნორვეგია დანიის კულტურულ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. პატარა ერების აღორძინებამ და გამოფხიზლებამ ევროპაში ნორვეგიაც ფეხზე დააყენა. დაარსდა ახალი თეატრები, ნორვეგიული კილო სავალდებულო შეიქმნა მწერალთათვის, ყველას პირზე სამშობლო ეკერა, სდევნიდნენ ყველა იმას, რასაც დანიის ბეჭედი ეჯდა. იბსენმაც, ამ საერთო მოძრაობის გავლენით, დაიწყო ისტორიულ პიესების წერა. ხუთი წელიწადი განაგებდა ბერგენის თეატრს და ამ ხნის განმავლობაში 7—8 ისტორიული პიესა დასწერა. ხუთის წლის შემდეგ ამ „პატრიოტულმა" ხანმა განვლო; ამიერიდან იბსენი ისტორიას აღარ დაჰბრუნებია, იმის ახალ დრამების შინაარსს ფსიხოლოგია, საზოგადოებრივი ცხოვრება და ფილოსოფია შეადგენდა.

ამავე დროს კრიტიკა საშინლად გადაემტერა დრამატურგს. ჯერ წინადაც იგი ალმაცერად უყურებდა იმის ისტორიულ პიესებს, რადგან იბსენი ბიერნსენისა და სხვა მწერალთა კვალს არ მისდევდა, რადგან ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ისტორიას, მამულიშვილურ ქება-დიდებას და ტრაბახს. დრამატურგს უფრო იზიდავდა გმირების სულიერი ვითარება, იმათი ურთიერთობა და პიროვნების მდგომარეობა. იბსენი ისტორიულ დრამებშივე შეუდგა იმ ახალ გზის ჩხრეკას, რომელიც შემდეგში იმის პიესების მთავარ აკკორდად გადაიქცა. ყველაზე მეტად კრიტიკოსები აალაპარაკა და საზოგადოება ააყაყანა „სიყვარულის კომედიამ". იბსენმა სამწერლო პენსია სთხოვა სტორტინგს (ბიერნსონი ამ დროს უკვე იღებდა პენსიას) და პასუხად შეუთვალეს, რომ „სიყვარულის კომედიისთვის" პენსია კი არა, ცემა უნდა ავტორსაო". ამ უსიამოვნებას სიღარიბეც დაერთო. იბსენმა 1857 წელს შეირთო ცოლი; შემოსავალი თითქმის არსაიდან ჰქონდა, რადგან თეატრები არაფერს იძლეოდნენ. მალე დანიის და პრუსიის ომიც ასტყდა. ძლიერმა პრუსიამ თითქმის მიწასთან გაასწორა დანია და ეს გარემოება გულს უწყლავდა ძალმომრეობის მტერს იბსენს. სწყინდა უფრო ის, რომ თანამოძმე შვეცია და ნორვეგია ხმას არ იღებდნენ, დახმარებას არ უწევდნენ დანიას.

ყველა ამან მოთმინების ფიალა აავსო. იბსენმა გადასწყვიტა ნორვეგიიდან წასვლა, სხვა ქვეყანაში გაქცევა ნუგეშისა და სულის სიმშვიდის მოსაპოვებლად. მეორედ ითხოვა პენსია და დაუნიშნეს კიდეც. 1864 წელს იბსენი წავიდა ნორვეგიიდან, რომ მრავალ წლის შემდეგ დაჰბრუნებოდა სამშობლოს სახელ-განთქმულ და პირველ-ხარისხოვან დრამატურგად.

ცივ ნორვეგიიდან იბსენი ცხელ და მზიან იტალიისაკენ გაეშურა. დასახლდა თავის ცოლითა და ხუთის წლის შვილით რომში. აქ დასწერა იბსენმა თავისი „ბრანდი", რომელშიაც საშინლად გაჰკიცხა თავის ერის ნაკლულევანებანი, ფარდა აჰხადა და სამარცხვინო ბოძზე მიაკრა ნორვეგიის ბურჟუათა და წინამძღოლთა მოღვაწეობა. პირველ ხანს იბსენი რომშიაც ღარიბად სცხოვრობდა, სტიპენდია არა ჰყოფნიდა, მაგრამ 1866 წლიდან, როდესაც იმისი „ბრანდი" დაიბეჭდა და გაიყიდა, საქმეები ცოტად გამოსწორდა. 1868 წელს იბსენი გერმანიაში გადასახლდა, სცხოვრობდა ჯერ დრეზდენს, შემდეგ მიუნჰენსა და ბერლინში. ამის შემდეგ იბსენის შინაური ცხოვრება საინტერესოს ბევრს არაფერს წარმოადგენს. საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ დრამატურგს ყველგან და ყოველთვის მარტოობა უყვარდა, ერიდებოდა ხალხს, იჯდა შინ და თავის დრამებს სწერდა. იგი სიტყვითა და საქმით ნამდვილი მტერი გახლდა საზოგადოებისა. ჰკიცხავდა და ჰკიცხავს ხალხთა ურთიერთობას, ძველანდელ წეს-წყობილებას, იმ ნიადაგს, რომელზედაც დღევანდელი ცხოვრებაა დამყარებული. იგი ერიდებოდა საზოგადო სამოქმედო ასპარეზს. „საზოგადოებრივი ცხოვრება დღეს იმ ნაირია, რომ მხოლოდ მატყუარებსა და გაიძვერებს შეუძლიანთ ხალხთა წინამძღოლობა, ეგრედ წოდებულ საზოგადო საქმის გაკეთებაო",—ამბობდა იბსენი თავის დრამებით და გაურბოდა საზოგადოებას.

სამშობლოში იბსენი მხოლოდ ათის წლის შემდეგ დაბრუნდა. ეხლა-კი იკადრა ნორვეგიამ ქედის მოხრა და ნიჭის პატივისცემა. მთელი ნორვეგია აღტაცებით მიეგება ევროპაში უკვე ცნობილ დრამატურგს.

სულ 15 წელიწადი იქნება, რაც იბსენი პირველ ხარისხოვან ნიჭად და მსოფლიო მწერლად აღიარეს. მანამდე ვერ გაიგეს იბსენის აზრები და ვერ დააფასეს იმისი მოღვაწეობა ვერც ნორვეგიასა და ვერც ევროპაში. დღეს იბსენის დრამებს ერთნაირის აღტაცებით ეგებებიან როგორც სკანდინავიაში, ისე პარიზსა, ლონდონსა, ბერლინსა და ვენაში. იშვიათადღა მოიპოვება ევროპაში ისეთი თეატრი, სადაც იბსენის ერთი ან ორი პიესა მაინც არ წარმოედგინოთ.

ამ ბოლოს დროსაც, როგორც წინად, იბსენი ერთ ადგილას არა სცხოვრობს. უმეტესს დროს იგი გერმანიასა და ნორვეგიაში ატარებს.

ი. ხ—მქ.

დაეცარიელდეს. წელს უფრო საქონელსა და სანოვაგეს ეტანებიან. იპარავენ მოშუტებულ ნაწილად ცხენებს, თუმცა რასაც მოასწრობენ, ყველათი კმაყოფილდებიან. ბოროტ-მოქმედნი ისე გაგულადნენ, რომ არხეინად მარნებში ქვევრებსა ჭრიან და ცეცხლით იპარავენ ღვინოს. №

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მარტი.

პეტერბურგი. ნამდვილის წყაროებიდან მოსულის ცნობებით, გუშინ არნაუტების ბრბო მიტროვიცს დაეცა; ოთხ საათის ბრძოლის შემდეგ ოსმალოს ჯარმა გაჰფანტა და ბევრიც მოჰკლა. ოსმალოს მთავრობამ სიენის ვილაიეტიდან დივიზია გამოიწვია ალბანიას გასაგზავნად, რადგან არნაუტებში მოძრაობაა. რუსეთის ელჩს დაევალა ბეჯითი მოთხოვნილება წარუდგინოს პორტას, რომ ალბანელთა ხალხების ასალაგმად სასტიკი ღონისძიებანი იხმაროს.

„კანონთა კრებულში" დაბეჭდილია: ქალაქებს უფლება მიენიჭათ ველოსიპედებსა და ავტომობილებზე თავისს სასარგებლოდ გადასახადები დააწესონ.

ბერლინი. გაზ. „ბერლინშე ცაიტუნგ"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ბელგრადიდან: სალონიკიდან ამბავი მოვიდა, რომ ბოლგარელ რაზმების დატყვევებულ უფროსებმა ისეთი რამ გამოაცხადეს, რომ ბოლგარეთის მთავრობას სახელს უტეხს: ვითომ ყოველ უფროსს სოფია-დან თვეში ას-ასი ფრანკი მისდიოდა ჯამაგირად. ამ ცნობას შემოწმება სჭირია კიდევ.

კონსტანტინეპოლი. პორტა აცხადებს, რომ ისტიბის ოლქში ბოლგარელთა რაზმები სრულიად მოისპო. ნავარაუდევია კიდევ ბოლგარელთა ორი დიდი რაზმი მონასტირისა და პრილეპის მიდამოებში. სასტიკად სდევნიან ამ რაზმებს.

მადრიდი. მელილიდან ამბავი მოვიდა, რომ ტახტის მაძიებელი 80 კილომეტრზეა ამ ჟამად მელილიდანაო. ჩრდილოეთისაკენ მოძრაობა კიდევაა. ქაბილებისა და მაცუეს ხალხების უმრავლესობა, რომელიც სულთანის ერთგულნი იყვნენ წინად, ეხლა ტახტის მაძიებლის მხარეს გადავიდა.

ალჟირი. ფიგიგის ახლო, ელ-მუჯაში დაბანაკებულ დარაჯებს თავს დაეცნენ; საფრანგეთის ერთი უნტერ-ოფიცერი და ოთხი სალდათი მოკლულია, ბევრი დაჭრილია.

სოფია. ახალი კაბინეტი შესდგა დანევის თავმჯდომარეობით. წინანდელი მინისტრები ყველა დარჩნენ პაპრიკოვის გარდა; ამის ადგილას სავოვია. საერთო კრება 31 მარტამდე გაგრძელდება.

მოსკოვი. ქალაქის საბჭომ 25 ათასი მანეთი გადასდო ქალაქის მოწყობა-გამშვენიერებისათვის.

19 მარტი.

დოროგობუჟი. ქალაქი იწვის; ასამდის სახლსა მოედო ცეცხლი. გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი საზოგადოებები: სმოლენსკისა და ვიაზმისა.

ნოვოროსიისკი. 17 მარტს მოხდა დამფუძნებელი კრება შავი-ზღვის პირის გუბერნიის შესწავლის საზოგადოებისა. 44 დამფუძნებელია. ხელის მოწერა არ შეწყვეტილა.

ლოძი. მოვიდნენ ჩინეთის წარმომადგენელნი. თან მოჰყვა რუსეთ-ჩინეთის ბანკის მოხელე მოსკვიტინი და აღმოსავლეთ-ჩინეთის გზისა, ნემანი. ამათ მიზნათ აქვთ შეისწავლონ კითხვა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაზე ადგილობრივ მეფაბრიკეებისა და მანჯურიასა და ჩინეთის შორის.

ბერლინი. „რაიხ. ანც."-ში გამოაქვეყნეს შემდეგი ბიულეტენი: „დედოფალს ყოველ დღე ხელ-ახლად უხვევენ ჭრილობას. მოტეხილი ადგილი ეხლა კარგათ აქვს. საზოგადოთ დედოფალი ჯან-მრთელად გრძნობს თავს. „ფრანკფ. ცაიტ."-ის ცნობებით გერმანიის ელჩი კონსტანტინეპოლში მარშალი მძიმედ გახდა ავად ინფლუენციით.

სტოკჰოლმი. მეფემ დღეს ხელ-ახლად შეუდგა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობას.

ლონდონი. „ტაიმს"-ს აუწყებენ შანხაიდან, რომ ბანკირთა კომისია არ დაეთანხმა, გადასცეს ხელის მოსაწერად ჩინეთის რწმუნებულთ ამერიკის წარმომადგენლისაგან წარმოდგენილი დანახარჯის დასაფარავად მოვალეობა, რომელიც ვერცხლზეა ნაანგარიშები ამერიკაში. ამერიკის წარმომადგენელმა ამიტომ დააპირა ეს მოვალეობა გადასცეს პირ-და-პირ ხელის მოსაწერათ.—ლორდთა პალატა: ლანსდოუნმა იმ დაკითხვაზე, რომელიც შეეხება ბრიტანიის გავლენის განსაზღვრას ადენიდან ჩრდილოეთისაკენ, შემდეგი პასუხი მისცა: როგორც უკანასკნელ მოხსენებიდან სჩანს, ოსმალთა ჯარები, რომელნიც ხელს უშლიდნენ ახალი საზღვრის გავლებას, წავიდნენ და მაშინვე ხელ-ახლად შეუდგნენ ამ საქმეს

კონსტანტინეპოლი. როგორც აღმოსავლეთის რკინის გზათა უმთავრეს მმართველობისაგან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, წარსულ ღამეს ააფეთქეს რკინის გზის ხიდი სადგურ მუსტაფა-ფაშასთან. კონსტანტინეპოლში მიმოსვლა შეწყვეტილია. ფიქრობენ, რომ აფეთქება მაკედონელთა რაზმებს მოუხდენიათო.

პარიზი. პალატამ შეიდო ბიუჯეტი სენატის მიერ შეტანილ ცვლილებებით. საბოლოოთ მიღებული ბიუჯეტი 3,528,000000 ფრანკამდის არის.

პორტსმუტი. ქარიან ტაროსის გამო, მეფე ედუარდმა ღამე იახტაზე გაატარა და მხოლოდ დღეს დილით გაუდგა გზას ლისაბონისაკენ.

ოდესსა. გაზეთ „იუგ"-ის სიტყვით, ლუბოსარაში მოკლულ ბავშვის გვამი სასამართლოს მოხელეთა თანდასწრებით ორჯერ გასჭრეს და დაამტკიცეს, რომ სიმართლეს მოკლებულია გაზეთების ცნობები, ვითომ ეს ბავშვი რჯულის წესის შესასრულებლათ მოეკლათ.

სოფია. 18 მარტს ბოლგარეთის მეამბოხეთ დაანგრიეს დინამიტით ხიდი სადგურთ მუსტაფა-ფაშას და გედიკ—ეის შუა, ადრიანოპოლის მახლობლად. ამ ხიდზე აფეთქების წინ ექსპრესმა გაიარა. საფოსტო მატარებელმა ხუთი საათით დაიგვიანა. მსხვერპლი არ არის.—18 მარტს დანევმა საერთო კრებაში წაიკითხა ბრძანება ახალ კაბინეტის დანიშვნის შესახებ, რომელიც წინანდელ წევრებისაგან უნდა შესდგეს, გარდა პაპრიკოვისა, რომლის ადგილსაც სავოვი დაიჭერს. კრება მორიგ კითხვების გარჩევას შეუდგა.

კოპენჰაგენი. ინგლისის დედოფალი მოვიდა აქ. მას დახვდა მეფე ქრისტიანი და სხვა ოჯახის წევრნი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადება

სოფლის მეურნეთა საყურადღებოდ,

რომელთაც სურთ თავის ვენახების აღორძინება.

ამერიკულ ვაზის სანერგე **„კლდე-ულურულ"**-ში იყიდება დამყნილი ფესვებიანი ვაზი და დასამყნობი რქა ადგილობრივ და საზღვარ-გარეთულ ჯიშისა.

იყიდება აგრეთვე გიბრიდები.

სეიბელი, კუდერი, ლაკოსტი, პარდი, კუფრო და სხვა. მრავლათ არის ამერიკული ვაზი დამყნილი და დასამყნობი. რიპარია გლუარისა და რუპესტრის გარდა არის შვიდი ჯიშის ვაზი სხვა და სხვა ნიადაგისათვის.

განცხადება და პრეისკურანტი მსურველთ უსასყიდლოთ ეგზავნებათ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: В. Тьебо, Кутаисъ.

სანერგე მდებარეობს სოფელ დიმში, ბაღდადის გზატკეცილის პირზე, ქალაქ ქუთაისიდან 20 ვერსტის მანძილზე, ხოლო ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურის რიონიდან 12 ვერსტის მანძილზე.

დღეში ორჯელ დადის აქეთ-იქით ყარამან დათეშიძის დილიჟანი; ფასი დილიჟანში 50 კაპეიკი.

ვინც-კი დაინტერესებულია ჩვენი სანერგით, შეუძლია, მოვიდეს პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდების ღვინის ქაშნიკის სანახავად, ხოლო პირველ მარიობისთვიდან, როდესაც ყურძენი მწიფდება, მსურველს შეუძლია, ნახოს და გასინჯოს მოუკრეფელი ყურძენი ვენახზე.

„კლდე-ულურულში" გაშენებულია 500 ჯიშზე მეტი ადგილობრივი, ევროპიული და პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები, აგრეთვე ამერიკული, ამერიკული ისევ ამერიკულზე დამყნილი და ფრანგულ-ამერიკული ვაზები.

საგობე ჯიშის ყურძენი შედის სიმწიფეში 10 კვირიკობისთვიდან.

ამერიკულ ვაზზე დამყნილ ვაზების ფასი:

ადგილობრივი — 7 მან. 50 კაპ. ასი.
ფრანგული — — 10 მან.
საგობე — — 20 მან. ასი.

პირდაპირი ნაყოფიერი გიბრიდების:

ფესვებიანი — — 5-დან 15 მანეთამდე ასი.
ლერწები — — 3-დან 12 მანეთამდე ასი.

ამერიკული დასამყნობი ლერწები:

რიპარია გრძელი $22^{1}/_{2}$ ვერშოკიანი :0 მ. ათასი. რუპესტრის — % — მან-დან მ-დე ათასი. გიბრიდები — % — 30 მან-დან 50 მ-დე ათასი.

ვღებულობთ გახარებულ, ფესვებიან ვაზების შეკვეთას და მომზადებას სამომავლო წლისოთ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობაში წარდგენილ მოხსენებისაგან (შესახებ პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდების მოშენებისა) ამოღებული ადგილი.

ვენახების აღორძინება, მკვიდრ ნიადაგზე დაყენება ამერიკულ ვაზებზე დამყნის საშუალებით, რასაც ფიქრობენ, იმაზე უფრო რთულ საქმეს წარმოადგენს, რადგანაც ამერიკული ვაზის ძალა ყოველთვის დიდ ზრდას აძლევს ზევიდან დამყნილ ვაზებს და ღვინო კი ყოველთვის კარგი არ გამოდის. კეთილ-ნაყოფიერი მიზნების მისაღწევად აუცილებლად საჭიროა მიწის ნიადაგის და ყურძნის ჯიშის მიხედვით გამოირჩეს შესაფერი ამერიკული საძირე ვაზი; ჩვენ გვაქვს ყურძნის ჯიში, რომელიც დაუმყნელად იძლევა 11% სპირტს, რუპესტრიზე დამყნილი-კი 9%, ამას გარდა ამერიკულ ვაზზე დამყნა იმათ ვერ იხსნის სოკოს ავათმყოფობისაგან, არამედ უფრო ხელს უწყობს იმგვარი ავადმყოფობის განვითარებას, როგორც მილდიუ და ნაყოფის დალპობა.

ამ არა სასურველ მოვლენათა თავიდან ასაცილებლად საფრანგეთის მეცნიერ-მევენახეები ცდილობდნენ „გიბრიდიზაცი"-ის (სხვა და სხვა ორგვარი ვაზის ერთმანერთზე დამყნობა) საშუალებით გამოენახათ იმნაირი ვაზები, რომელნიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ და გაუმაგრდებოდნენ როგორც ფილოქსერას, ისე სოკოს ავათმყოფობას; ახლა ამგვარი ვაზები ბევრია, რომლებსაც ეწოდება პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები. დაახლოვებით ასე 6 თუ 8 წლის წინად იმერეთში ორი ჯიშის გიბრიდი იყო დარგული, რომლებისგანაც ალიკანტ ტეორასი იძლევა ცუდ ღვინოს, ხოლო მეორე გიბრიდ ფრანკს ემართება სოკოს ავათმყოფობა, რის გამოც გავრცელდა ხმები, რომ პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები არაფრათ ვარგაო.

1899 წელში ჩვენ გამოვიწერეთ საფრანგეთიდან 15 ჯიშის პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები, რომელნიც დავრგეთ კლდე-ულურულის მამულში. 1901 და ამ 1902 წლის მოსავალი გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ამ ვაზებს დიდი მომავალი მოელის იმერეთში.

1901 წლის მოსავლის ღვინის ანალიზი დაბეჭდილია 1903 წლის აპრილის ჟურნალ „Вѣстникъ Винодѣлія"-ში. 1903 წლის ღვინის ანალიზი გვაჩვენებს, რომ არსებულ საშუალებაზე დამყარებულ მევენახ-მეღვინეობასთან პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები მოგვცემენ ყოველთვის მეტ შემოსავალს, ვინემ ჩვეულებრივი ჯიშის, დამყნილი ამერიკულ საძირე ვაზზე.

საუკეთესო ადგილობრივი და ევროპიულ ჯიშის ღვინოები გამოვიდენ შემდეგი ღირსების:

8,6—12,2 გრადუსი სპირტი.

15,6—26,2 ექსტრაქტიული ნივთიერებანი. (ღვინოში ორთქლის გამოღევის შემდეგ დარჩენილი ნივთიერებანი).

1—9,7 სალებავი ნივთიერება.

პირდაპირი ნაყოფიერი გიბრიდის ღვინოები გამოვიდნენ შემდეგი ღირსების:

8—12,9 გრადუსამდე სპირტი.

18,6—29 ექსტრაქტიული ნივთიერებანი.

1,4—16,4 სალებავი ნივთიერებანი.

ამასთან უნდა მოვიხსენიოთ, რომ ზემოთ მოხსენებულ ღვინოების ჭაჭა დუღილის შემდეგ არ იყო საქაჩველში გატარებული. დასასრულ პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდების ღირსებას ის გარემოება გვაჩვენებს, რომ იმათი დარგვა შეიძლება დაუმყნელათ—ისიც ღარიბ და ქვიან მიწის ნიადაგზე, ამასთან გიბრიდები იძლევიან კარგ მოსავალს გრძელი, მრავალ კვირტოვან ლერწების დატოვების დროსაც გასხვლაზე. ამ უპირატესობის გარდა გიბრიდებს ვერაფერ ზიანს აძლევს ყინვები, კიდევაც რომ გაიყინოს ორჯერ, მოსავალს მაინც იძლევა, რადგან ახალი ნაყოფიერი ლერწები უჩნდება. ზოგიერთი ჯიშის გიბრიდს სრულიად არ ეკიდება სოკოს ავათმყოფობა, ამასთან ზოგიერთს მხოლოდ ერთხელ უნდა წლის განმავლობაში წამლობა მაშინ, როდესაც უბრალო ღვინის ჯიშის ვაზები სამჯერ, ან ოთხჯერ წამლობის შემდეგაც კი არ უზრუნველ ყოფენ მოსავალს.

ზემოთ მოყვანილი ცნობები უტყუარ საბუთს გვაძლევენ იმისას, რომ პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები შეიძლება არ გავაკეთოთ დაბლარ ვენახათ, არამედ მაღლარად, რომელიც ბევრად უფრო იაფი ჯდება; ამერიკულ ვაზზე დამყნილი ვენახები კი მხოლოდ დაბლარ ვენახათ შეიძლება მოშენდეს.

მეორე წელიწადს ზემოხსენებული გიბრიდები უკვე იძლევიან პატარა მოსავალს, მეოთხე წელიწადს კი სრულ მოსავალს.

მართალია, კარგი და გამოჩენილი ჯიშის გიბრიდების ფასი ჯერ ჯერობით ამერიკულ დამყნილ ვაზზე უფრო ნაკლები არ არის, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ გიბრიდის რამდენიმე ათეული ვაზის მყიდველს შეუძლია გასხვლის დროს გადაგდებულ ლერწებისაგან თანდათან გააშენოს რამდენიმე ქცევა ვენახი ყოველგვარ ახალ ხარჯს გარეშე.

ყოველივე ამასთან თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ყველა მემამულეს, რომელსაც საშუალება ნებას არ აძლევს რაციონალურ გზას დადგეს მევენახეობისა და მეღვინეობის საქმეში (სარდაფი, ბოჭკები და სხ.) გიბრიდების მოშენებით პატარა ხარჯის გასავლთან მეტი შემოსავალი ექნებათ, ვინემ ამერიკულ დამყნილ ვაზიდან.

ქუთაისის ბაზარზე შავ ყურძენს, ნამეტურ საფერავის ჯიშისას, თეთრი ჯიშის ყურძენზე ორი ზომით მეტ ფასში ყიდიან.

გ. ი. ტიებო, მევენახე მეღვინე და დამაარსებელი მისი უმაღლესობის კ. პ. ოლდენბურგსკის დასაუფლისწულო უწყების შამპანური ქარხნებისა. (1—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—7)

ტფილისის ნოქართა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 23 ამა მარტს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე, გამგეობის სადგომში, განოვის ქუჩაზე, ა. ფრიდონოვის სახლში, მოხდება ჩვეულებრივი

საზოგ.-დო კრება

განსახილველი საგნები:

1) 1902 წ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2) განხილვა და დამტკიცება 1903 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა; 3) არჩევანი გამგეობის 4 წევრისა; 4) არჩევანი მათის 4 კანდიდატისა; 5) არჩევანი სარევიზიო კომისიის 4 წევრისა; 6) სავაჭრო კლასსების დაწესება. (ნ. 2—1)

ელეოპატი მეპადური ბალზამი
პროფ. კინუნენისა

ამ საშუალებით შეიძლება შეჩერებულ იქმნას **თმის ცვენა** და **ქერტლიც** მოისპოს. ის გარემოება, რომ 25 წლის განმავლობაში (1877 წლიდან) შეუწყვეტლივ თხოულობენ **ელეოპატს**, გვარწმუნებს, რომ ეს საშუალება სანდოა. იყიდება ყველგან.

ადრესი წერილებისთვის: პეტერბურგი, რაზიეზჟაია, 13.—პროფ. კინუნენის **ელეოპატის** უმთავრეს საწყობში. (ნ. 4—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 19 марта, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)